**CAE (C1 დონე)** შედგება 4 ნაწილისგან: კითხვა და პრაქტიკული ინგლისური, წერა, მოსმენა და საუბარი. დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ ეწვიოთ ვებგვერდს

| ტესტი | ტესტის შემადგენელი ნაწილები | მიზანი |
|---|---|---|
| **კითხვა და პრაქტიკული ინგლისური**<br><br>(1 საათი და 30 წუთი) | **8** ნაწილი/**56** საკითხი | ტესტი ამოწმებს რამდენად თავისუფლად შეუძლია აპლიკანტს თავი გაართვას სხვადასხვა ტიპის ტექსტებს, როგორიცაა: მხატვრული ნაწარმოები, გაზეთი და ჟურნალი. ეს ნაწილი ამოწმებს, რამდენად სწორად იყენებს აპლიკანტი ინგლისურ ენაში გრამატიკულ კონსტრუქციებსა და ლექსიკას. |
| **წერა**<br><br>(1 საათი და 30 წუთი) | **2** ნაწილი | აპლიკანტს მოეთხოვება 2 წერითი დავალების შესრულება, როგორიცაა: ესე, წერილი/ელექტრონული წერილი, მოხსენება, ან მიმოხილვა. |
| **მოსმენა**<br><br>(დაახლოებით 40 წუთი ) | **4** ნაწილი/**30** საკითხი | მოწმდება აპლიკანტის მოსმენის უნარი. გამოყენებული იქნება ისეთი ტექსტები, როგორიცაა: ინტერვიუ, რადიო გადაცემა, პრეზენტაცია და ყოველდღიურ რეალობასთან მიახლოვებული დიალოგი. |
| **საუბარი**<br><br>(15 წუთი, აპლიკანტები გამოიცდებიან წყვილში ) | **4** ნაწილი | ამოწმებს აპლიკანტის უნარს, რამდენად კარგად შეუძლია მას დაამყაროს ურთიერთობა პირისპირ საუბარში. აპლიკანტები გამოცდას აბარებენ წყვილებში ან სამი ერთად და მათ ცდის ორი ზეპირი გამომცდელი. |